



ადრეული და
სკოლამდელი
განათლების კვლევა
საქართველოში

მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით



შინაარსი


გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაბრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშებები

გვერდი 12 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებების მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის დაწესებულებების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები ეკუთვნის მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიებს.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 14-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ავტორიზებული ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ სასწავლო პროგრამებზე, აღსაზრდელთა რაოდენობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებს მათში ასევე გაერთიანებულია სკოლები რომელთაც ასევე გააჩნიათ ბალები. მათი ჯამური ბრუნვა აღემატება 33 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 56 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 4,5 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, მათი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 8%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 14%.


გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, და გადახდის უნარიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის ავტორიზებული ადრეული და სკოლამდელი დანესებულებების საშუალო მონაცემები. მოცემული 14 ბაზიდან 1 განეკუთვნება მეორე კატეგორიას ხოლო 13 კი მესამეს.





ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა სტაბილურად მზარდია, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. 2017-დან 2020 წლამდე, გაიზარდა 107 ერთეულით (7%), რაც მიუთითებს დარგის სტაბილურობაზე. თუმცა, აღსაზრდელების საერთო რაოდენობა შედარებით არასტაბილურია და იკლებს ბოლო წლებში. ეტაპობრივად, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები ქმნიან შესაბამის გარემოს ბავშვის უკეთესი განვითარებისთვის და სთავაზობენ რესურსებს, რაც აუცილებელია მათი ამოზნობისა და თვალსაწიერის გასაფართოვებლად. თუმცა ამ მხრივ, რესურსებისა და ინფრასტრუქტურის


ნაკლებობას განიცდის რეგიონებში არსებული ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები, სადაც საჭიროა პირობების გაუმჯობესება, რაც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს.

ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018-2019 წელს, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობამ შეადგინა 1 574 ერთეული.

ქვემოთ მოცემულია ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები და მათში აღსაზრდელების რაოდენობა (სასწავლო წლის დასაწყისისათვის), ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.

ერთეული

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები, სულ




წყარო: geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა მზარდია, 2020-2021 წელს დაფიქსირდა 1 647 დაწესებულება. რაც შეეხება აღსაზრდელების რაოდენობას, შემდეგია:

ერთეული

ჩართულ ბავშვთა რაოდენობა (აღსაზრდელები), სულ




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 2019-2020 წელს დაფიქსირდა აღსაზრდელების მაქსიმალური რაოდენობა- 164 605. ბოლო წელს აღსაზრდელების რაოდენობა შემცირდა 6,543 ბავშვით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე.

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა




საქართველოში ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის) შემდეგია:



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2020-2021 წლის თანახმად, ყველაზე მეტი ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები დაფიქსირდა იმერეთში - 300 ერთეული, შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი - 263, ხოლო მესამე ადგილს იკავებს კახეთი - 233. რაც შეეხება აღსაზრდელების გადანაწილებას რეგიონების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისათვის), შემდეგია:



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი აღსაზრდელი ფიქსირდება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში, რაც ლოგიკურიაა მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე. 2020-2021 წლის მონაცემების თანახმად თბილისში 58 836 აღსაზრდელი ფიქსირდება, მეორე ადგილს იკავებს იმერეთი - 20 612 აღსაზრდელი, ხოლო მესამე ადგილზეა ქვემო ქართლი - 14 710.




ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა წლების მიხედვით, სტაბილურად მზარდია, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შემდეგია:

ერთეული

აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი, სულ




*შენიშვა 2020-2021 წლებში მოცემულია აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე/ ინკლუზიური განათლების სპეც. პედაგოგი
წყარო:geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა სტაბილურად მზარდია, ხოლო ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენს 9.5%-ს.

რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობას რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება:

ერთეული

აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, სულ



- აჭარა გურია თბილისი იმერეთი კახეთი მცხეთა-მთიანეთი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი სამეგრელო-ზემო სვანეთი სამცხე-ჯავახეთი ქვემო ქართლი
- შიდა ქართლი

*შენიშვა 2020-2021 წლებში მოცემულია აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე/ინკლუზიური განათლების სპეც. პედაგოგი
წყარო:geostat.ge


როგორც დიაგრამიდან ჩანს, აღმზრდელ-დედაგოგების მაქსიმალური რაოდენობა 2020-2021 წლის მიხედვით ფიქსირდება, თბილისში 5078 პედაგოგი, შემდეგ მოდის იმერეთი - 2564, ხოლო მესამე ადგილს იკავებს აჭარა - 1598 პედაგოგი.



ტოპ 5 ადრეული და სკოლამდელი დაწესებულება შემოსავლების მიხედვით (2018წ)


აღნიშნული სასწავლებლების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების ჯამური შემოსავლის 78%-ს.

ათასი, ლარი




ტოპ 5 ადრეული და სკოლამდელი დაწესებულება მთლიანი აქტივების მიხედვით, (2018წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 ადრეული და სკოლამდელი დაწესებულება (2018წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები


კვლევის შედეგად გამოვლინდა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 4.74 და 3,04. როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: , წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 8%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 12%-ს, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, წმინდა მოგების მარჟა შეადგენს მხოლოდ 5% -ს.

ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებები






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. ადრეული და სკოლამდელი დანესებულებების ეს მაჩვენებელი უტოლდება 0,5-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 0,58 -ს, რაც მიუთითებს თუ რამდენად აღმატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები საკონდიტრო ნაწარმის მწარემებელი კომპანიებისთვის



AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 50-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 105-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

